საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეკენა

თეკენა, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში. პირველად იხსენიება 1392 წ. 1 დეკემბერს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში სოფლებთან – მისაქციელთან, საფურცლესთან, ბელტისციხესთან ერთად, რ-ებიც საქართვ. მეფეს ალექსანდრე I-ს სვეტიცხოვლისათვის განუახლებია. თ. შემდეგაც იხსენიება სიმონ I-ისა და როსტომის დროს შექმნილ საბუთებში. გვიანი შუა საუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით, ქართლის სამეფოს III სადროშოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

დმანისხევში, მაშავრის მარჯვნივ, იყო ასევე სოფ. თეკენები (თეკენენი, თეკენამი), რ-იც საყაფლანიშვილოში ითვლებოდა.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 3, თბ., 1970.

ზ. ცინცაძე